




EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2013. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2013. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.





EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

დიდი პალატა

საქმე „ფაბრისი საფრანგეთის წინააღმდეგ“

(საჩივარი №16574/08)

გადაწყვეტილება  
(არსებითი განხილვა)  
[ამონარიდები]

სტრასბურგი

7 თებერვალი, 2013 წ.

*წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოოა, თუმცა იგი, შესაძლოა,  
დაექვემდებაროს სარედაქციო გადასინჯვას..*



**საქმეზე „ფაბრისი საფრანგეთის წინააღმდეგ“,**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ჯოზეფ კასადევალი, *თავმჯდომარე*,  
ფრანსუაზ ტულკენსი,  
ნინა ვაიიჩი,  
ლეს გარლიცკი,  
კარელ იუნგვიერტი,  
ელიზაბეტ შტაინერი,  
ალვინა გიულუმინი,  
ეგბერტ მეიერი,  
დრაგოლიუბ პოპოვიჩი,  
ჯორჯ ნიკოლაუ,  
ანდრამ შაიო,  
ლედი ბიანკუ,  
ნონა წოწორია,  
იმილ კარაკაში,  
გვიდო რაიმონდი,  
პაულო პინტო დე ალბუკერკე,  
ანდრე პოტოკი, *მოსამართლეები*,  
და იოჰან კალევარტი, *დიდი პალატის სასამართლო  
გამწესრიგებლის მოადგილე*,

2012 წლის 4 აპრილისა და 24 ოქტომბრის დახურული თათბირების შედეგად, ამ უკანასკნელ თარიღზე მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

**პროცედურა**

1. საქმეს საფუძვლად დაედო საჩივარი (№16574/08), რომელიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდეგში „კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად, საფრანგეთის მოქალაქემ, ბ-ნმა ჰენრი ფაბრისმა (შემდეგში „მომჩივანი“) 2008 წლის 1 აპრილს საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ სასამართლოში შეიტანა.

2. მომჩივანს წარმოადგენდა ბ-ნი ა. ოტანი, ლუნელში მოღვაწე იურისტი, ხოლო საფრანგეთის მთავრობას (შემდეგში „მთავრობა“)

– სახელმწიფო წარმომადგენელი, საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული სამსახურის დირექტორი, ე-ნი ე. ბელიარი.

3. ეყრდნობოდა რა კონვენციის მე-14 მუხლს, 1-ლი ოქმის 1-ლ მუხლთან და კონვენციის მე-8 მუხლთან ერთად, მომჩივანი, „ადიულტერის შედეგად“ დაბადებული, ამტკიცებდა, რომ დაბადების ნიშნით დისკრიმინაცია განიცადა დედის ქონების გაყოფასთან დაკავშირებით.

4. საჩივარი სასამართლოს მეხუთე სექციას გადაეცა (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). 2010 წლის 10 თებერვალს სექციის თავმჯდომარემ გადაწყვიტა, რომ საჩივრის შესახებ მთავრობისთვის ეცნობებინა. როგორც ამას ითვალისწინებდა კონვენციის ყოფილი 29-ე მუხლის მე-3 ნაწილი (ახლანდელი 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) და სასამართლოს რეგლამენტის მუხლი 54ა, მან გადაწყვიტა, საჩივრის არსებითი მხარე და დასაშვებობა ერთდროულად განეხილა. 2011 წლის 21 ივლისს საჩივარი დასაშვებად გამოაცხადა მეხუთე სექციის პალატამ, რომელიც შემდეგი მოსამართლეებისგან შედგებოდა: დინ შპილმანი, თავმჯდომარე, ჟან-პოლ კოსტა, ბოშტიან მ. ზუპანჩიჩი, მარკ ვილიგერი, იზაბელ ბერო-ლეფევრი, ენ პაუერი და ანგელიკა ნუსბერგერი, მოსამართლეები, და ასევე კლაუდია ვესტერდიკი, სექციის სასამართლო გამწესრიგებელი. მან დაადგინა, ხუთი ხმით ორის წინააღმდეგ, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-14 მუხლი, 1-ლი ოქმის 1-ლ მუხლთან მიმართებაში, ხოლო – ერთხმად, რომ კონვენციის მე-14 მუხლის, მე-8 მუხლთან მიმართებით წარდგენილი საჩივრის ცალკე განხილვა საჭირო არ იყო.

5. 2011 წლის 9 სექტემბერს მომჩივანმა მოითხოვა, რომ კონვენციის 43-ე მუხლისა და სასამართლოს რეგლამენტის 73-ე მუხლის შესაბამისად, საქმე დიდ პალატას გადასცემოდა. 2011 წლის 28 ნოემბერს დიდი პალატის კოლეგიამ მისი თხოვნა დააკმაყოფილა.

6. დიდი პალატის შემადგენლობა კონვენციის 26-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების და სასამართლოს რეგლამენტის 24-ე მუხლის დებულებების შესაბამისად განისაზღვრა.

7. მომჩივანმა და მთავრობამაც დიდ პალატას საკუთარი წერილობითი მოსაზრებები წარუდგინეს.

8. საქმის ღია მოსმენა 2012 წლის 4 აპრილს სტრასბურგში, სასამართლოს შენობაში გაიმართა (სასამართლოს რეგლამენტის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

სასამართლოს წინაშე წარდგინენ:

(ა) მთავრობის სახელით

ქ-ნი ა.-ფ. ტისიე, თანაწარმომადგენელი,  
ქ-ნი ე. ტოპინი, საგარეო და ევროპულ საქმეთა სამინისტრო,  
ქ-ნი მ.-ა. რეშე, იუსტიციის სამინისტრო,  
ქ-ნი კ. აზარი, იუსტიციის სამინისტრო, მრჩეველები;

(ბ) მომჩივნის სახელით

ბ-ნი ა. ოტანი, ადვოკატი,  
ქ-ნი მ. ოტანი, ადვოკატი, იურისტი.

სასამართლომ მოისმინა ბ-ნი ოტანისა და ქ-ნი ტისიეს მიმართვები.

## ფაქტები

### I. საქმის გარემოებები

9. მომჩივანი 1943 წელს დაიბადა და ცხოვრობს ორლეანში.

#### ა. საქმის წინაისტორია

10. მომჩივანი მამამ შვილად დაბადებისას აღიარა. მომჩივნის ჩასახვის პერიოდში მისი დედა – ქ-ნი მ., ქალიშვილობის გვარით რ. – დაქორწინებული იყო და იმ ქორწინებაში ორი შვილი ჰყავდა: ა., 1923 წელს დაბადებული, და ჯ.ლ., 1941 წელს დაბადებული. 1967 წლის 28 თებერვლის ბრძანებით მომჩივნის დედა და მისი ქმარი, ბ-ნი მ. სასამართლოს წესით განქორწინებულად გამოცხადნენ.

11. 1970 წლის 24 იანვრის შეთანხმებით ბ-მა და ქ-მა მ.-ებმა ქონება თავიანთ ორ კანონიერ შვილს *inter vivos (donation-partage)* გაუყვეს. შეთანხმება, რომელსაც ნოტარიუსის თანდასწრებით მოეწერა ხელი, სიცოცხლის განმავლობაში ქონებაზე უფლების

შენარჩუნებას ითვალისწინებდა, ხოლო შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში – საჩუქრის ანულირებას. შეთანხმების ხელმოწერისას ბ-მა და ქ-მა მ.-ებმა განაცხადეს, რომ ქონების ამ ორი მიმღების გარდა მათ სხვა შთამომავალი არ ჰყავდათ.

12. 1983 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით მონპელიეს *tribunal de grande instance*-მა მომჩივანი ბ-ნი და ქ-ნი მ.-ების „უკანონო“ შვილად მას შემდეგ გამოაცხადა, რაც დაადგინა, რომ მისი, როგორც „უკანონო“ შვილის სტატუსი ბოლომდე დამტკიცებული იყო.

13. 1984 წელს მომჩივანმა განაცხადა, რომ აპირებდა *inter vivos* გაყოფის შესახებ 1970 წლის შეთანხმების გასაჩივრებას. იმავე დღეს მისმა ადვოკატმა აცნობა, რომ შეთანხმების გასაჩივრება შეუძლებელი იყო მჩუქებლის სიცოცხლის პერიოდში და რომ ერთადერთი არჩევანი იყო, რომ ანულირების მოთხოვნით სარჩელი მჩუქებლის გარდაცვალებიდან ხუთი წლის განმავლობაში შეეტანა.

14. 1994 წლის ივლისში მომჩივნის დედა გარდაიცვალა. ქონების განმკარგველმა ნოტარიუსმა 1994 წლის 7 სექტემბრის წერილით მომჩივანს აცნობა, რომ მას, როგორც „ადიულტერის შედეგად დაბადებულს“, მხოლოდ იმ წილის ნახევრის მიღების უფლება ჰქონდა, რასაც იგი მიიღებდა კანონიერი შვილი რომ ყოფილიყო (იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა, რომ „ადიულტერის შედეგად დაბადებულს“ შეეძლო, მემკვიდრეობით მიეღო კანონიერი შვილის წილის მხოლოდ ნახევარი – იხილეთ ქვემოთ პარაგრაფები 26 და 27). მან ასევე აღნიშნა, რომ მომჩივნის ნახევარძმა და ნახევარდა მზად იყვნენ, მისთვის ნაღდი ფულით გადაეხადათ 298,311 ფრანგული ფრანკი (დაახლოებით 45,477 ევრო), თუმცა მიუთითებდა, რომ „ბავშვის შემდგომ დაბადების შემთხვევაში, მხოლოდ ფულადი სახსრების ანულირება [იყო] შესაძლებელი და არც ერთ შემთხვევაში – თავად ქონების“. სამ შვილს შორის შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული.

#### **ბ. მომჩივნის მიერ შეტანილი სარჩელი ანულირების მოთხოვნით**

15. 1998 წლის 7 იანვრით დათარიღებული სარჩელით მომჩივანმა საქმე აღძრა მისი ნახევარძმის, ჯ.ლ.-სა და ნახევარდის, ა.-ს წინააღმდეგ, ითხოვდა რა *inter vivos* გაყოფის ანულირებას



სამოქალაქო კოდექსის 1077-1 მუხლის შესაბამისად (იხილეთ ქვემოთ პარაგრაფი 25). იგი მოითხოვდა თანაბარ წილს დედამისის ქონებიდან.

16. მას შემდეგ, რაც სასამართლომ საფრანგეთის წინააღმდეგ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე *მაზურეკი საფრანგეთის წინააღმდეგ* (№34406/97, 2000 წლის 1 თებერვალი, ECHR 2000-II), საფრანგეთმა მიიღო 2001 წლის 3 დეკემბრის №2001-1135 კანონი (შემდეგში „2001 წლის კანონი“), რითაც ცვლილება შევიდა კანონმდებლობაში და „ადიულტერის შედეგად დაბადებულ“ ბავშვებს მიენიჭათ იმავენაირი სამემკვიდრეო უფლებები, რაც კანონიერ ბავშვებს ჰქონდათ (იხილეთ ქვემოთ პარაგრაფი 28). ეს ახალი კანონი ძალაში შევიდა მანამდე, სანამ გადაწყვეტილება იქნა მიღებული მომჩივნის მიერ აღძრულ საქმეზე. მისი გარდამავალი დებულებები ითვალისწინებდა, რომ, მხარეებს შორის ნებისმიერი ადრინდელი შეთანხმების და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გათვალისწინებით, დებულებები, რომლებიც უკავშირდებოდა ქორწინების გარეშე დაბადებული იმ ბავშვების ახალ სამემკვიდრეო უფლებებს, რომელთა მამა ან დედა მათი ჩასახვის პერიოდში სხვა ადამიანზე იყო დაქორწინებული, გამოყენებადი იყო იმ სამკვიდროების შემთხვევაში, რომლებიც კანონის ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნების თარიღისთვის (2001 წლის 4 დეკემბერი) უკვე გახსნილი იყო და ამ თარიღამდე მათი გაყოფა არ მომხადარა (2001 წლის კანონის მუხლი 25(2), იხილეთ ქვემოთ პარაგრაფი 30).

17. 2003 წლის 20 თებერვლის დაზუსტებულ მოთხოვნაში მომჩივანი 2001 წლის კანონის დებულებებს დაეყრდნო. მისი არგუმენტის თანახმად, ამ კანონმა გააუქმა ფილიაციის შესახებ 1972 წლის 3 იანვრის კანონის (შემდეგში „1972 წლის კანონი“, იხილეთ ქვემოთ პარაგრაფები 27 და 29) მე-14 მუხლი, გარდამავალი დებულება ითვალისწინებდა რა, რომ იმ მემკვიდრეთა უფლებები, რომლებსაც ამ კანონის შესაბამისად ქონების კუთვნილ ნაწილზე უფლება ეძლეოდათ, ვერ განხორციელდებოდა იმ *inter vivos* საჩუქრის საზიანოდ, რომელიც კანონის ძალაში შესვლის თარიღამდე გადაეცათ. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ, რადგან ეს დებულება გაუქმდა, მას უფლება ჰქონდა, სამოქალაქო კოდექსის 1077-1 მუხლის შესაბამისად სასამართლოსთვის მიემართა ანულირების მოთხოვნით,

მიუხედავად იმისა, რომ *inter vivos* გაყოფის შესახებ შეთანხმებას 1970 წლის 24 იანვარს მოეწერა ხელი.

*1. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება*

18. 2004 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებით ბეზიეს *tribunal de grande instance*-მა მომჩივნის საჩივარი დააკმაყოფილა. მან დაადგინა, რომ 1972 წლის კანონის მე-14 მუხლი კონვენციის მე-8 და მე-14 მუხლებს ეწინააღმდეგებოდა. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა გადაწყვეტილებაზე *მარქსი ბელგიის წინააღმდეგ* (1979 წლის 13 ივნისი, სერია A №31), რომელიც აღიარებდა, „რომ ოჯახური ცხოვრება მატერიალური ხასიათის ინტერესებსაც მოიცავდა“; მან ასევე მიუთითა სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებაზე, „რომელიც ასევე ადგენდა, რომ ქორწინებაში და ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს შორის მემკვიდრეობის საკითხებისადმი განსხვავებული მიდგომა დისკრიმინაციული იყო (*მაზურეკი, ინზე და ვერმერი*)“. მან ასევე დაადგინა, რომ ეს დებულება 2001 წლის ახალ კანონს ეწინააღმდეგებოდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანს ქონებაზე მემკვიდრეობის იგივე უფლებები ჰქონდა, რაც მის ნახევარძმას და ნახევარდას, შემდეგი მიზეზების გამო:

“2001 წლის 3 დეკემბრის კანონის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს, რომ ეს კანონი, იმ თარიღიდან, როცა იგი ძალაში შედის, გამოყენებადია გახსნილი სამკვიდროს მიმართ; მხარეებს შორის ნებისმიერი ადრინდელი შეთანხმების და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გათვალისწინებით, ამ კანონის დებულებები გამოყენებადი იყო იმ სამკვიდროების შემთხვევაში, რომლებიც კანონის საფრანგეთის რესპუბლიკის ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნების თარიღისთვის უკვე გახსნილი იყო და ამ თარიღამდე მათი გაყოფა არ მომხდარა.

წინამდებარე საქმეში, ქ-ნ მ.-ს ქონების გაყოფა ჯერ არ მომხდარა; შესაბამისად, მასზე ვრცელდება დებულებები, რომლებიც უკავშირდება ქორწინების გარეშე დაბადებული იმ ბავშვების მემკვიდრეობის ახალ უფლებებს, რომელთა მამა ან დედა მათი ჩასახვის პერიოდში დაქორწინებული იყო სხვა პირზე. ...

მართლაც, შეუძლებელია გონივრულად იმის მტკიცება, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება 2001 წლის 3 დეკემბრის კანონის ამოქმედებისას იმ დებულების შენარჩუნებას განიზრახავდა, რომელიც ახალი კანონის სულისკვეთებას და მიზანს ეწინააღმდეგებოდა.”

## 2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

19. 2004 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში ჯ.ლ.-ს და ა.-ს – ვინც პროცესის მიმდინარეობის პერიოდში გარდაიცვალა – მემკვიდრეებმა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს.

20. 2006 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით მონპელიეს სააპელაციო სასამართლომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და განაცხადა, რომ 1972 წლის კანონის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მომჩივანს არ ჰქონდა უფლება, *inter vivos* გაყოფის ანულირების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიემართა. მან დაადგინა:

“... [ამ მუხლის] თანხმად, წინამდებარე კანონის შესაბამისად ან ფილიაციის დადგენასთან დაკავშირებული ახალი წესების შედეგად ქონების კუთვნილ ნაწილზე მოპოვებული უფლებები ვერ განხორციელდება იმ *inter vivos* საჩუქრის საზიანოდ, რომელიც იმ კანონის ძალაში შესვლამდე იქნა გადაცემული.

ამ დებულებას, რომელიც ზოგად წესს განსაზღვრავს, სხვათა შორის, იმ ახალი წესების უკუქმედების ძალასთან დაკავშირებით, რომლებიც 1972 წლის 3 იანვრის კანონიდან წარმოშობილი ფილიაციის დადგენას უკავშირდება, 2001 წლის 3 დეკემბრის კანონი პირდაპირ არ აუქმებს; არც იმის დასკვნა შეიძლება უფრო ახალი კანონის პირობებიდან, რომ იგი ავტომატურად გაუქმდა, პირველი, რადგან მისი დებულებები უფრო ახალ კანონს არ ეწინააღმდეგება და, მეორე, რადგან იგი არ იყო შეზღუდული მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 915-ე მუხლის გამოყენებით, რომელიც იმ კანონით გაუქმდა.”

სააპელაციო სასამართლოს თანახმად, ეს დასკვნა არ ეწინააღმდეგება დაბადების მიუხედავად თანასწორუფლებიანობის ზოგად პრინციპს, როგორც ამას იცავს 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი და კონვენციის მე-8 და მე-14 მუხლები:

“პირველი, 1972 წლის კანონის მე-14 მუხლის დებულებების ერთადერთი მიზანია, მემკვიდრეებს, ვინც ქონების კუთვნილ ნაწილზე უფლებები მოიპოვა ამ კანონის შესაბამისად – და 2001 წლის 3 დეკემბრის კანონით გაუფართოვდა – აუკრძალოს მათი განხორციელება იმ *inter vivos* საჩუქრის საზიანოდ, რომელიც 1972 წლის 1 აგვისტომდე იქნა გადაცემული, აღნიშნული მემკვიდრეებისთვის მათი სამემკვიდრეო უფლებების ჩამორთმევის გარეშე. გარდა ამისა, 1972 წლის კანონის მე-14 მუხლის ობიექტური და გონივრული გამართლება არსებობს დასახული მართლზომიერი მიზნის თვალსაზრისით, კერძოდ, მშვიდობიანი ოჯახური ურთიერთობების უზრუნველყოფა იმ კონტექტში მოპოვებული უფლებების – ზოგჯერ დიდი ხნით ადრე დადგენილი – დაცვის გზით, იმავდროულად, მემკვიდრეებს შორის ზედმეტი დისბალანსის შექმნის

8 გადაწყვეტილება საქმეზე „ვაზრის საფრანგეთის წინააღმდეგ“ (არსებითი მხარე)

გარეშე; ამასთან, აღსანიშნავია რა, რომ [ამ დებულებებს] მოქმედების შეზღუდული არეალი აქვს, როგორც დროის, ისე განსახილველი ნებაყოფლობითი განკარგვის ტიპის თვალსაზრისით.”

### 3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

21. მომჩივანმა საკასაციო საჩივარი შეიტანა. 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლისა და კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრის საფუძვლებში იგი ამტკიცებდა, რომ მშვიდობიან ოჯახურ ურთიერთობებს ვერ მიენიჭებოდა უფრო დიდი მნიშვნელობა, ვიდრე ქორწინებაში და ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა შორის თანასწორობას სამოქალაქო უფლებების თვალსაზრისით.

22. თავის მოსაზრებაში, რის შესახებაც მხარეებს ეცნობათ, გენერალურმა ადვოკატმა საკასაციო სასამართლოს საჩივრის უარყოფის რეკომენდაცია მისცა. მან საკასაციო სასამართლოს პირველი სამოქალაქო განყოფილების მოსამართლეებს შემდეგი არგუმენტები წარუდგინა:

“... სასამართლომ არ უნდა მიიღოს მხედველობაში, რომ გახსნილი სამკვიდროს გაყოფა არ დაწყებულა ამ კანონის გამოქვეყნების დღემდე, იმის გათვალისწინებით, რომ ანულირების შესახებ სარჩელი იმ დღეს უნდა განხილულიყო?”

საკითხის განხილვას თქვენთვის მართლაც ართულებს 1972 წლის და 2001 წლის კანონების გარდამავალი დებულებებით შეთავაზებული განსხვავებული მიდგომები. იმ დროს, როცა არც ერთი გახსნილი სამკვიდრო, არც 1972 წლის კანონის ძალაში შესვლამდე გადაცემული *inter vivos* საჩუქარი, შეიძლება, ეჭვქვეშ დამდგარიყო ამ კანონის შესაბამისად, 2001 წლის კანონი ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს, რომელთა მამა ან დედა მათი ჩასახვის პერიოდში სხვა ადამიანზე იყო დაქორწინებული, სამემკვიდრეო უფლებებს ანიჭებს იმ სამკვიდროებთან მიმართებაში, რომლებიც ამ კანონის გამოქვეყნებამდე უკვე გახსნილი იყო.

ეს განსხვავება 2001 წლის კანონის დებულებების შეუზღუდავ გამოყენებას ამართლებს. მხოლოდ მაშინ, როცა გაყოფა უკვე მოხდა, ან მხრეებს შორის შეთანხმება უკვე მიღწეულია, ან სასამართლოს გამოტანილი აქვს საბოლოო გადაწყვეტილება, შეიძლება ამგვარი ბავშვების ახალი სამემკვიდრეო უფლებების უარყოფა, როცა მემკვიდრეობა უკვე გახსნილია. რაც შეეხება სარჩელს ანულირების მოთხოვნით, სამკვიდრო, რომელიც უკვე გახსნილი 2001 წლის კანონის გამოქვეყნების დღეს, იმ კანონის გამოქვეყნების დღეს ვერ „წარმოშობს გაიყოფის საკითხს“.

ამგვარად, ის არგუმენტი, რომ 2001 წლის 3 დეკემბრის კანონი არ არის გამოყენებადი, ჩემი აზრით, ძნელად გასაზიარებელია. თუმცა, 1972 წლის 3 იანვრის კანონის მე-14 მუხლის პირობები სრულიად ცალსახაა.

მემკვიდრეებს, რომელთაც ამ კანონის შესაბამისად მოიპოვეს უფლებები ქონების კუთვნილ წილზე, არ შეუძლიათ ამ უფლებების განხორციელება „იმ *inter vivos* საჩუქრის საზიანოდ, რომელიც ამ კანონის ძალაში შესვლამდე იქნა გადაცემული“. ამგვარად, შეიძლება, ეს დებულებები ავტომატურად გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს?

დროის ფაქტორის გათვალისწინებლად მომჩივანი თავის დამატებით განცხადებებში ამტკიცებს, რომ ორი კანონის გარდამავალი დებულებების აშკარა შეუსაბამობიდან ის დასკვნა უნდა იქნას გამოტანილი, რომ ის დებულებები, რომლებიც 1972 წლის კანონს არეგულირებს, ავტომატურად გაუქმდა. მიუხედავად იმისა, რომ 1972 წელს და 2001 წელს ამოქმედებული გარდამავალი დებულებების მიდგომები განსხვავებულია, ისინი, ჩემი აზრით, ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება.

გამორიცხავდა რა ეჭვის შეტანას იმ *inter vivos* საჩუქრებში, რომლებიც 1972 წლის კანონის ძალაში შესვლამდე იქნა გადაცემული, საკანონმდებლო ხელისუფლება მიზნად ისახავდა ამგვარი საჩუქრებისთვის საჭირო სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას. არაფერი ამართლებს 2002 წელს ამ სამართლებრივი უსაფრთხოების ეჭვქვეშ დაყენებას, რადგან უფრო ადრინდელი გარდამავალი დებულებები 2001 წლის კანონში მოცემულ დებულებებს ავსებს.

ეს არის ის მიზეზები, რის გამოც მოგიწოდებთ, უარყოთ საჩივრის პირველი საფუძველი: 1970 წლის 24 იანვარს გადაცემული *inter vivos* საჩუქარი არ შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს ფილიაციის დადგენის შესახებ ახალი წესებიდან გამომდინარე სამემკვიდრეო უფლებების გამო. ამასთან დაკავშირებით, იმ დროს, როცა საკამათო რჩება, მოხდა თუ არა სინამდვილეში ქონების გაყოფა 2001 წლის 3 დეკემბრის კანონის გამოქვეყნებამდე, *inter vivos* საჩუქრის არსებობა, რომელიც 1972 წლის 3 იანვრის კანონის ძალაში შესვლამდე იქნა გადაცემული, სადავო არ არის. ...”

23. საკასაციო სასამართლომ 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით საჩივარი უარყო, საკუთარი ინიციატივით ჩაანაცვლა რა ახალი სამართლებრივი საფუძველი. სასამართლომ დაადგინა, რომ 2001 წლის კანონის გარდამავალი დებულებების მნიშვნელობა იყო ის, რომ მხარეებს შორის ნებისმიერი ადრინდელი შეთანხმების და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გათვალისწინებით, დებულებები, რომლებიც უკავშირდებოდა ქორწინების გარეშე დაბადებული იმ ბავშვების ახალ სამემკვიდრეო უფლებებს, რომელთა მამა ან დედა მათი ჩასახვის პერიოდში სხვა ადამიანზე იყო დაქორწინებული, გამოყენებადი იყო მხოლოდ იმ სამკვიდროების მიმართ, რომლებიც 2001 წლის 4 დეკემბერს უკვე გახსნილი იყო და ამ თარიღამდე მათი გაყოფა არ მომხადარა (იხილეთ ზემოთ პარაგრაფი 16). მან დაადგინა, რომ, რადგან ქონების გაყოფა

სისრულეში მოვიდა ქ-ნი მ.-ს სიკვდილით – 1994 წლის ივლისში, ანუ, 2001 წლის 4 დეკემბრამდე – ზემოხსენებული დებულებები არ იყო გამოყენებადი.

## II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

### ა. ქონების *Inter vivos* გაყოფა და სარჩელი ანულირების მოთხოვნით

24. ფრანგული კანონმდებლობის თანახმად, ქონების მფლობელებს შეუძლიათ, თავად გაყონ ქონება თავიანთ მემკვიდრეებს შორის. *inter vivos* გაყოფა (*donation-partage*) არის შეთანხმება, რომლითაც მჩუქებელი თავის ქონებას ყოფს მაშინვე თავის მემკვიდრეებს შორის (*inter vivos* ტრანსფერი). ეს არის მოსალოდნელი, საბოლოო და მოლაპარაკების გზით მიღწეული გაყოფა. ქონებაზე საკუთრების უფლება ჩუქების მომენტში გადაიცემა, რაც არის ასევე იმ მემკვიდრეობის მიღების პირველი (მოსალოდნელი) ეტაპი, რომელიც მოგვიანებით გაიხსნება. საკასაციო სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, *inter vivos* გაყოფა მჩუქებლის გარდაცვალების შემთხვევაში მემკვიდრეობის მიღების მიზნებისთვის გაყოფას წარმოადგენს. სამკვიდრო არის გახსნილი და საბოლოოდ ლიკვიდირებული ან გაყოფილი წინაპრის გარდაცვალების დღეს (საკასაციო სასამართლო, 1876 წლის 7 მარტი; პირველი სამოქალაქო განყოფილება, 1994 წლის 5 ოქტომბერი, Bull. 1994, I, №27).

25. შთამომავალს, ვისაც ქონებიდან თავისი წილი არ მიუღია, შეუძლია მოითხოვოს მისი კუთვნილი წილი არსებული აქტივებიდან იმ დროს, როცა მემკვიდრეობა გახსნილია. როცა ქონების აქტივები არასაკმარისია, მას შეუძლია, ანულირების მოთხოვნით სარჩელი შეიტანოს მჩუქებლის გარდაცვალებიდან ხუთი წლის განმავლობაში. ეს იყო სამართლებრივი გასაჩივრების ის საშუალება, რომელიც მომჩივანმა გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1077-1 და 1077-2 მუხლების შესაბამისად, რომლებიც იმ დროს ითვალისწინებდა შემდეგს:

#### მუხლი 1077-1

“შთამომავალს, ვინც ქონების *inter vivos* გაყოფაში არ მონაწილეობდა, ან მის კუთვნილ წილზე ნაკლები მიიღო, შეუძლია ანულირების მოთხოვნით სარჩელის შეტანა, თუ იმ დროს, როცა სამკვიდრო გახსნილია, ის აქტივები,

რომლებიც ქონების გაყოფაში არ შევიდა, არასაკმარისია მისი კუთვნილი წილის შესადგენად ან შესავსებად, ნებისმიერი იმ ნებაყოფლობითი განკარგვის გათვალისწინებით, რისგანაც მან შეიძლება სარგებელი მიიღოს.”

#### მუხლი 1077-2

“ქონების *inter vivos* გაყოფა *inter vivos* საჩუქრების მარეგულირებელ წესებს ექვემდებარება, რაც შეეხება ოდენობის განსაზღვრას, კუთვნილი წილისა და შემცირებების გამოთვლას.

ანულირების მოთხოვნით სარჩელის შეტანა შესაძლებელია იმ წინაპრის, ვინც ქონება გაყო, ან, დედის ან მამის მიერ მთელ მათ შთამომავლობაზე ქონების გაყოფის შემთხვევაში, ცოცხალი წინაპრის გარდაცვალების შემდეგ. ამგვარი სარჩელის ხანდაზმულობის ვადაა წინაპრის გარდაცვალებიდან ხუთი წელი.

ბავშვს, რომელიც ქონების *inter vivos* გაყოფის მომენტში ჩასახული არ იყო, შეუძლია, ანალოგიური სარჩელი შეიტანოს მისი კუთვნილი წილის შედგენის ან შევსების მიზნით.”

...

### გ. გარდამავალი დებულებები

...

#### 2. 2001 წლის კანონის 25-ე მუხლი

30. 2001 წლის კანონის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ამ კანონის ძალაში შესვლა 2002 წლის 1 ივლისამდე იყო გადადებული. თუმცა, რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის იმ დებულებების გაუქმებას, რომლებიც „ადიულტერის შედეგად დაბადებული“ ბავშვების უფლებებს ეხებოდა, საკანონმდებლო ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ, გამონაკლისის სახით, კანონი ძალაში შევიდოდა ამ კანონის ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებისთანავე, ანუ, 2001 წლის 4 დეკემბერს. შესაბამისად, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს შემდეგს:

“წინამდებარე კანონი ვრცელდება იმ სამკვიდროებზე, რომლებიც უკვე გახსნილია [2002 წლის 1 ივლისიდან], შემდეგი გამონაკლისების გათვალისწინებით: ...

(2) მხარეებს შორის ნებისმიერი ადრინდელი შეთანხმების და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გათვალისწინებით, შემდეგი ვრცელდება იმ მემკვიდროებზე, რომლებიც წინამდებარე კანონის საფრანგეთის რესპუბლიკის ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნების

12 გადაწყვეტილება საქმეზე „ფაბრისი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (არსებითი მხარე)

თარიღისთვის უკვე გახსნილია და ამ თარიღამდე მათი გაყოფა არ მომხადარა:

(ა) დებულებები, რომლებიც უკავშირდებოდა ქორწინების გარეშე დაბადებული იმ ბავშვების ახალ სამემკვიდრეო უფლებებს, რომელთა მამა ან დედა მათი ჩასახვის პერიოდში სხვა ადამიანზე იყო დაქორწინებული; ...”

31. რამდენადაც იგი შეეხება „ადიულტერის შედეგად დაბადებული“ ბავშვების უფლებებს, 2001 წლის კანონი, შესაბამისად, გამოყენებადია ყველა იმ მემკვიდრეობის მიმართ, რომლებიც 2001 წლის 4 დეკემბერს გახსნილი იყო, იმ პირობით, რომ იმ თარიღამდე ქონება არ იყო გაყოფილი.

...

## სამართალი

I. მე-14 მუხლის სავარაუდო დარღვევა 1-ლი ოქმის 1-ლ მუხლთან მიმართებაში

36. მომჩივანი ჩიოდა, რომ მას, როგორც „ადიულტერის შედეგად დაბადებულს“, არ შეეძლო თავისი სამემკვიდრეო უფლებების დაცვა და ამგვარი გაუმართლებელი დისკრიმინაცია გრძელდებოდა *მაზურეკის* საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შემდეგ და 2001 წლის კანონის ამოქმედების მიუხედავად.

იგი ამტკიცებდა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი, 1-ლი ოქმის 1-ლ მუხლთან მიმართებაში, რომლებშიც, შესაბამისად, აღნიშნულია შემდეგი:

### მე-14 მუხლი

“ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე ... დაბადებისა თუ სხვა ნიშნის განურჩევლად.”

### 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი

“ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება ვინმეს კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.



ამასთან, წინარე დებულებანი ვერ ხელყოფს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონი, რომელსაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადებისა თუ სხვა მოსაკრებლის ანდა ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.”

#### ა. პალატის გადაწყვეტილება

37. 2011 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით პალატამ დაადგინა, რომ მომჩივნის საჩივარი 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის გავრცელების სფეროში შედიოდა, რაც საკმარისი იყო იმისთვის, რომ კონვენციის მე-14 მუხლი გამოყენებადი ყოფილიყო. რადგანაც 1983 წელს დედამისის დედობა დადგინდა, მომჩივანი დაინტერესებული იყო, დედამისის ქონებიდან წილის მიღების უფლება დაეცვა, რაც აღსრულებადი იყო ეროვნულ სასამართლოებში, იმგვარად, რომ კონვენციის მე-14 მუხლთან თავსებადი ყოფილიყო (იხილეთ პალატის გადაწყვეტილება, პარაგრაფები 38-42).

38. პალატა საქმის არსებით მხარეზე აღნიშნავს, რომ 1972 წლის და 2001 წლის კანონებმა კონკრეტული გარდამავალი დებულებები ამოქმედა ამ კანონებში განსაზღვრულ ახალ სამემკვიდრეო უფლებებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მომჩივანი 1970 წელს *inter vivos* საჩუქრის ანუღირების მოთხოვნით საჩივრის შეტანის მომენტში იმ დებულებებით ვერ ისარგებლებდა. სააპელაციო სასამართლოს თანახმად, 1972 წლის კანონის გარდამავალი დებულება გამორიცხავდა იმ *inter vivos* საჩუქრების ექვევემ დაყენებას, რომლებიც ამ კანონის ძალაში შესვლამდე იქნა გადაცემული. საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ქონების გაყოფა დედის სიკვდილის დროს, 1994 წელს მოხდა, ეს – 2001 წლის კანონის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად – გამორიცხავდა იმ ახალი დებულებების გამოყენებას, რომლებიც მემკვიდრეობის თანაბარ უფლებებს ითვალისწინებდა. ეროვნული კანონმდებლობის ის ინტერპრეტაციები სამართლებრივი სარწმუნოების პრინციპისა და კანონიერი ბავშვების დიდი ხნით ადრე დადგენილი უფლებების დაცვის მართლობიერ მიზანს ისახავდა. ამასთან, ისინი არ ჩანდა დაუსაბუთებელი, თვითნებური ან დისკრიმინაციის აკრძალვასთან აშკარად არათავსებადი. პალატამ წინამდებარე საქმის კონკრეტული სიტუაცია განასხვავა იმ საქმეებისგან,

რომლებშიც ქონება ჯერ გაყოფილი არ იყო (ზემოხსენებული *მაზურეკი და მერგერი და კროსი საფრანგეთის წინააღმდეგ*, №68864/01, 2004 წლის 22 დეკემბერი), როცა დაასკვნა, რომ განსახილველი განსხვავებული მოპყრობა დასახული მიზნის პროპორციული იყო და რომ კონვენციის მე-14 მუხლი, 1-ლი ოქმის 1-ლ მუხლთან მიმართებაში, არ დარღვეულა (იხილეთ პალატის გადაწყვეტილება, პარაგრაფები 50-59).

## ბ. მხარეთა არგუმენტები

### 1. მთავრობა

#### (ა) კონვენციის მე-14 მუხლის გამოყენებადობა

39. მთავრობამ განაცხადა, რომ ფაქტები, რაზეც მომჩივანი ჩიოდა, 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის მოქმედების სფეროში არ შედიოდა, რაც კონვენციის მე-14 მუხლს გამოუყენებადს ხდიდა. ამასთან დაკავშირებით მთავრობამ აღნიშნა, რომ 1970 წლის *inter vivos* გაყოფამ საკუთრების უფლება ორ კანონიერ შვილს მიანიჭა და შექმნა სამართლებრივი სიტუაცია, რომელიც გამორიცხავდა, რომ მომჩივანს დედის ქონებიდან წილი მიეღო. არც 1972 წლის და არც 2001 წლის კანონი არ აძლევდა მას იმ ქონებიდან წილის მიღების შესაძლებლობას, რისი უფლებაც მას ექნებოდა, 1970 წლის შეთანხმება რომ არ არსებულებოდა. განსხვავებით საქმეებისგან *მაზურეკი და მერგერი და კროსი*, რომლებშიც მომჩივანებმა, მათი მშობლების გარდაცვალების შემდეგ, მემკვიდრეობის უფლებები ავტომატურად მოიპოვეს, წინამდებარე საქმეში მემკვიდრეობა განაწილდა 1970 წელს, მომჩივანის დედის გარდაცვალებამდე. ამასთან, ქონების გაყოფა 1983 წლამდე, როცა მომჩივანის ფილიაცია დადგინდა, რამდენიმე წლით ადრე შევიდა ძალაში. შესაბამისად, მთავრობის თანახმად, მომჩივანს ამ ქონებასთან დაკავშირებით მემკვიდრეობის უფლებები არ გააჩნდა (მთავრობამ მიუთითა, *mutatis mutandis*, საქმეზე *ალბოიზ-ბარტი და ალბოიზ-მონტეზუმი საფრანგეთის წინააღმდეგ* (განჩინება), №44421/04, 2008 წლის 21 ოქტომბერი).

#### (ბ) არსებითი მხარე

40. როგორც მანამდე პალატის წინაშე განაცხადა, მთავრობა ამტკიცებდა, რომ მომჩივანი დედის მემკვიდრეობიდან „ამორიცხული“ არ იყო, მაგრამ, რამდენადაც *inter vivos* გაყოფის

შესახებ 1970 წლის შეთანხმების პირობების შესაბამისად აქტივები უკვე გასხვისებული იყო, იგი ვეღარ მიიღებდა წილს, რაზეც 1972 წლის და 2001 წლის კანონების თანახმად მას უფლება ექნებოდა, ეს შეთანხმება რომ არ არსებულობდა. შესაბამისად, დედის მემკვიდრეობის მიღებაში მომჩივანს აბრკოლებდა არა განსახილველი სასამართლო გადაწყვეტილებები, არამედ – ქონების გადაცემის შესახებ ადრინდელი შეთანხმება, რომელმაც მოცემული სამართლებრივი სიტუაცია შექმნა.

41. სხვა მემკვიდრეების მიერ მოპოვებული უფლებები იყო ის, რისი გათვალისწინებაც მოუხდა ამ კანონის ამოქმედებისას 2001 წელს საკანონმდებლო ხელისუფლებას, რომელმაც, ამასთან, სრულად შეასრულა მასზე დაკისრებული *მაზურეკის* გადაწყვეტილების განხორციელების ზოგადი ვალდებულებები. მანამდე არსებულ სიტუაციებზე ახალი კანონის გავრცელება აუცილებლად უნდა მომხდარიყო კანონის სამართლებრივი სარწმუნოებისა და განჭვრეტადობის პრინციპების დაცვით, რაც სასამართლოს პრეცედენტული სამართლით იყო დადგენილი. ამგვარად, 2001 წლის კანონის 25-ე მუხლი გამორიცხავდა ახალი უფლებების გავრცელებას იმ სამკვიდროებზე, რომლებიც ამ კანონის გამოქვეყნების თარიღისთვის უკვე გახსნილი იყო და რომელთა გაყოფაც ამ თარიღამდე მოხდა. ამდენად, მთავრობის აზრით, საკასაციო სასამართლოს ინტერპრეტაცია *მაზურეკის* გადაწყვეტილებას არ ეწინააღმდეგებოდა. იმ გადაწყვეტილებისა და *მერგერი* და *კროსის* საქმისგან განსხვავებით, რომლებშიც მომჩივნები ეჭვქვეშ აყენებდნენ სიტუაციებს, რომლებიც ჯერ განსაზღვრული არ იყო, როცა მათ საჩივარი შეიტანეს ეროვნულ სასამართლოებში, 1998 წელს მომჩივნის მიერ ანულირების მოთხოვნით შეტანილი სარჩელი ეჭვქვეშ აყენებდა სიტუაციას, სადაც ქონების გაყოფა უკვე მომხდარი იყო.

42. მთავრობამ აღიარა, რომ გადაწყვეტლებას, რომლითაც კონვენციის დარღვევა დადგინდა, შეიძლებოდა, მოპასუხე სახელმიწიფოში საერთო ზომების გატარება მოჰყოლოდა და თავისი გავლენით სასამართლოში მხარეებთან დაკავშირებული დავის ფარგლებს გასცდებოდა. მიუხედავად ამისა, მთავრობამ განაცხადა, რომ სასამართლოს არასდროს უღიარებია საკუთარი გადაწყვეტილების უკუქმედების ძალა. იმის მტკიცება, რომ *მაზურეკის* გადაწყვეტილება გამოყენებული უნდა იქნეს წინამდებარე საქმეში, ანუ, იმ სამართლებრივ სიტუაციაში,

რომელიც ამ გადაწყვეტილების გამოტანამდე საბოლოოდ განისაზღვრა, და რომ მას უკუქმედების ძალა უნდა ჰქონდეს, კონვენციის 46-ე მუხლს მნიშვნელობას დაუკარგავდა.

## 2. მომჩივანი

### (ა) კონვენციის მე-14 მუხლის გამოყენებადობა

43. მომჩივანს პალატის წინაშე წარდგენილი მოსაზრებების გარდა, სადაც იგი გამოხატავდა, რომ ამ საკითხზე მთვარობას არ ეთანხმებოდა (პალატის გადაწყვეტილება, პარაგრაფი 37), რაიმე დამატებითი მოსაზრებები დიდ პალატაში არ წარმოუდგენია. იგი ამტკიცებდა, რომ 1983 წელს დედის ფილიაციის დადგენა მას მემკვიდრეობის უფლებებს ანიჭებდა, როგორც კი დედამისის სამკვიდრო გაიხსნებოდა – ეს კი მის მიერ საჩივრის შეტანის დღეს გადაწყვეტილი არ იყო – რაც 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის მოქმედების სფეროში შედიოდა.

### (ბ) არსებითი მხარე

44. მომჩივნის თანახმად, კონვენციის მე-14 მუხლის ეფექტიანობა გარანტირებული უნდა ყოფილიყო და მხოლოდ „ძალიან სერიოზულ“ მიზეზებს შეიძლებოდა გამოეწვია ის, რომ დაბადების ნიშნით განსხვავებული მოპყრობა კონვენციასთან თავსებადად მიჩნეულიყო. სამართლებრივი სარწმუნოობა არ იყო კონვენციით გარანტირებული უფლება, არც – საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საფუძველი, რითაც შესაძლებელი იქნებოდა 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლით გათვალისწინებული საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლების დარღვევის გამართლება.

45. რაც 1972 წელს მისაღები შეიძლებოდა ყოფილიყო, სამართლებრივი სარწმუნოობის იდეის საფუძველზე მე-14 მუხლით გარანტირებული დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის დარღვევისას, *მაზურეკის* საქმის შემდეგ ასე ვეღარ იქნებოდა. თუმცა, მომჩივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უსამართლოდ მოპოვებული უფლებები არ უნდა ყოფილიყო დაცული 2001 წლის კანონის გარდამავალი დებულებებით, რომელიც ისეთი ტიპის დარღვევების აღსაკვეთად იყო გამიზნული, რაც იმ გადაწყვეტილებაში იქნა დადგენილი. მისი არგუმენტის თანახმად, ბ-ნი მაზურეკისთვის ზიანის ანაზღაურებით სასამართლომ უარი თქვა მის გადაწყვეტილებამდე არსებული სამართლებრივი სიტუაციების დაცვაზე. მომჩივანი მიიჩნევდა, რომ აქ

სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო *მაზურეკის* სავალდებულო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა და, შესაბამისად, გადაწყვეტილება საფრანგეთის წინააღმდეგ გამოეტანა. სხვაგვარი დასკვნა იმის აღიარების ტოლფასი იქნებოდა, რომ სახელმწიფოს სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შედეგების გათვალისწინებით შექმნილი კანონმდებლობის მიღებისას დროის განუსაზღვრელი პერიოდი ჰქონდა მისი გადაწყვეტილებების ტრანსპოზიციისთვის და რომ გარკვეულ გარემოებებში იგი შეიძლებოდა შეხებოდა მხოლოდ მომავალ შემკვიდრებებს და, ამგვარად, კონვენციის *ex post facto* აღიარებული დარღვევების ლეგალიზება მოეხდინა. მომჩივანი ჩიოდა განგრძობადი დისკრიმინაციის შესახებ, რამაც 1972 წლის კანონის შედეგები სამუდამოდ დაადგინა, რაც სასამართლოს მიერ საფრანგეთის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების საგანი იყო და კანონმდებლობით უარყოფილი იქნა 2001 წელს.

46. გარდა ამისა, იგი ამტკიცებდა, რომ ანულირების მოთხოვნით მის მიერ 1998 წელს შეტანილ სარჩელზე გადაწყვეტულება მიღებული არ იყო, როცა 2001 წლის კანონი გამოქვეყნდა, რის შედეგადაც მას უნდა ესარგებლა იმ ახალი უფლებებით, რომლებიც „ადიულტერის შედეგად დაბადებულ“ ბავშვებს მიენიჭათ. შესაბამისად, რადგან მის სარჩელზე გადაწყვეტილება ჯერ არ იყო მიღებული, დედამისის ქონება ვერ იქნებოდა საბოლოო სახით გაყოფილი; სხვაგვარი დასკვნა *inter vivos* გაყოფის ანულირების მოთხოვნით სარჩელის შეტანას სამართლებრივი გასაჩივრების არაქმედით საშუალებად აქცევდა.

## გ. სასამართლოს შეფასება

### 1. კონვენციის მე-14 მუხლის გამოყენებადობა

#### (ა) ზოგადი პრინციპები

47. სასამართლოს დადგენილი პრეცედენტული სამართლის თანახმად, კონვენციის მე-14 მუხლი კონვენციისა და მისი ოქმების სხვა ძირითად დებულებებს ავსებს. იგი დამოუკიდებლად არ არსებობს, რადგან მას ძალა აქვს მხოლოდ იმ „უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობასთან“ დაკავშირებით, რომლებიც იმ დებულებებითაა გარანტირებული. მიუხედავად იმისა, რომ მე-14 მუხლის გამოყენება იმ დებულებების დარღვევის წინაპირობას არ წარმოადგენს (ამ გაგებით იგი ავტონომიურია), მისი გამოყენება

უადგილოა, თუკი განსახილველი ფაქტები ერთი ან ერთზე მეტი დებულების მოქმედების ფარგლებში არ თავსდება (იხილეთ, მრავალ სხვა წყაროს შორის, *ვან რაალტე ნიდერლანდების წინააღმდეგ*, 1997 წლის 21 თებერვალი, §33, *Reports of Judgments and Decisions* 1997-I; *პეტროვიჩი ავსტრიის წინააღმდეგ*, 1998 წლის 27 მარტი, §22, *Reports* 1998-II; *ზარბ ადამი მალტის წინააღმდეგ*, №17209/02, §42, ECHR 2006-VIII; და *კონსტანტინ მარკინი რუსეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], №30078/06, § 124, ECHR 2012 (ამონარიდები)).

**(ბ) თავსდება თუ არა საქმის ფაქტობრივი გარემოებები 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის მოქმედების ფარგლებში**

48. ამგვარად, წინამდებარე საქმეში საჭიროა, განისაზღვროს, თავსდება თუ არა 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის მოქმედების ფარგლებში, ანუ სფეროში, მომჩივნის საჩივარი იმასთან დაკავშირებით, რომ მას შესაძლებლობა არა აქვს, თავისი სამემკვიდრეო უფლებები დაიცვას დედამისის მიერ ქონების *inter vivos* გაყოფის შესახებ ხელმოწერილი შეთანხმების, სადაც მისი კუთვნილი წილი გათვალისწინებული არ იყო, ანუღირების მოთხოვნით სარჩელის შეტანით.

49. სასამართლო აღნიშნავს, რომ 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის პირველ ნაწილში ნახსენებ „საკუთრებას“ ავტონომიური მნიშვნელობა აქვს, რაც არ შემოიფარგლება მატერიალური ნივთების ფლობით და ეროვნულ კანონმდებლობაში მოცემული ფორმალური კლასიფიკაციისგან დამოუკიდებელია: ზოგიერთი სხვა უფლება და ინტერესი, რომლებიც აქტივებს წარმოადგენს, შეიძლება ასევე ჩაითვალოს „საკუთრების უფლებად“ და, ამდენად, „საკუთრებად“ ამ დებულების მიზნებისთვის (იხილეთ *ბეიელერი იტალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], №33202/96, §100, ECHR 2000-I).

50. 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი არ უზრუნველყოფს საკუთრების მოპოვების უფლებას (იხილეთ *სლივენკო და სხვები ლატვიის წინააღმდეგ* (განჩინება) [დიდი პალატა], №48321/99, §121, ECHR 2002-II (ამონარიდები), და *ალიშიჩი და სხვები ბოსნია-ჰერცეგოვინის, ხორვატიის, სერბეთის, სლოვენისა და მაკედონიის ყოფილი იუგოსლავიური რესპუბლიკის წინააღმდეგ* (განჩინება), №60642/08, §52, 2011 წლის 17 ოქტომბერი), განსაკუთრებით, ანდერძის არასებობის ან ნებაყოფლობითი გაყოფის პირობებში (იხილეთ, *mutatis mutandis*, ზემოხსენებული

*მარქსი*, §50 და ზემოხსენებული *მერგერი და კროსი*, §37). თუმცა, „საკუთრება“ შეიძლება იყოს „არსებული საკუთრება“ ან აქტივები, მათ შორის მოთხოვნები, რასთან დაკავშირებითაც მომჩივანმა შეიძლება ამტკიცოს, რომ მას, სულ მცირე, „მართლზომიერი მოლოდინი“ აქვს, რომ საკუთრების უფლებით ეფექტიან სარგებლობას შეძლებს (იხილეთ, სხვა წყაროებს შორის, *Pressos Compania Naviera S.A. და სხვები ბელგიის წინააღმდეგ*, 1995 წლის 20 ნოემბერი, §31, სერია A №332; *კოპეკვი სლოვაკეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], №44912/98, §35, ECHR 2004-IX; და *Association nationale des pupilles de la Nation საფრანგეთის წინააღმდეგ* (განჩინება), №22718/08, 2009 წლის 6 ოქტომბერი). მართლზომიერ მოლოდინს უნდა ჰქონდეს „საკმარისი საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში“ (იხილეთ ზემოხსენებული *კოპეკვი*, §52; *დეპალი საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], №34044/02, §63, ECHR 2010; და *სალინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*, №18768/05, §103, 2010 წლის 27 მაისი). გარდა ამისა, „საკუთრების“ ცნება შეიძლება გავრცელდეს კონკრეტულ სარგებელზე, რომელიც განსახილველ პირებს ჩამოერთვათ უფლების მინიჭების დისკრიმინაციული პირობის საფუძველზე (იხილეთ *ანდრეევა ლატვიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], №55707/00, § 79, ECHR 2009). მიუხედავად ამისა, იმის აღიარების იმედი, რომ შენარჩუნდება საკუთრების ძველი უფლება, რისი ეფექტიანი განხორციელების შესაძლებლობა დიდი ხნის განმავლობაში არ არსებობდა, ვერ ჩაითვლება „საკუთრებად“ 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის მნიშვნელობით, ვერც – პირობით მოთხოვნად, რომელიც პირობის შეუსრულებლობის შედეგად ძალას კარგავს (შესაბამისი პრინციპების შეჯამება იხილეთ საქმეებში *მალჰაუსი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ* (განჩინება) [დიდი პალატა], №33071/96, ECHR 2000-XII, კომისიის პრეცედენტულ სამართალზე შემდგომი მინიშნებებით; იხილეთ ასევე *ლიხტენშტეინის პრინცი ჰანს-ადამ II გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], №42527/98, §85, ECHR 2001-VIII; *ნერვა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, №42295/98, §43, ECHR 2002-VIII; და *სთრეჩი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, №44277/98, §32, 2003 წლის 24 ივნისი).

51. საკითხი, რომელიც თითოეულ შემთხვევაში განხილვას საჭიროებს, არის ის, მთლიანობაში განხილული საქმის გარემოებები ანიჭებს თუ არა მომჩივანს საკუთრების უფლებას რომელიც 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლითაა დაცული (იხილეთ

*Bozcaada Kimisis Teodoku Rum Ortodoks Kilisesi Vakfi* თურქეთის წინააღმდეგ, №37639/03, №37655/03, №26736/04 და №42670/04, §41, 2009 წლის 3 მარტი; ზემოხსენებული დეპალი, §62; *Plalam S.P.A.* იტალიის წინააღმდეგ (არსებითი მხარე), №16021/02, § 37, 2010 წლის 18 მაისი; და *დი მარკო იტალიის წინააღმდეგ* (არსებითი მხარე), №32521/05, §50, 2011 წლის 26 აპრილი). სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს მიდგომა სამართლისა და ფაქტობრივი გარემოების შემდეგი საკითხების გათვალისწინებას მოითხოვს.

52. წინამდებარე საქმეში სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანს დედამისის მიერ ხელმოწერილი *inter vivos* გაყოფის ანულირების მოთხოვნის უფლებაზე უარი ეთქვა მხოლოდ იმის გამო, რომ მას „ადიულტერის შედეგად დაბადებული“ ბავშვის სტატუსი ჰქონდა, ეს სტატუსი დაედო საფუძვლად საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას – განმარტავდა რა იგი 2001 წლის კანონის გარდამავალ დებულებებს – რომ მის შემთხვევაში არ დაეშვა იმ დებულებების გამოყენება, რომლებიც ამ კანონის მიერ აღიარებულ ახალი სამემკვიდრეო უფლებებს უკავშირდებოდა. წინამდებარე საქმის მსგავს შემთხვევებში, რომლებიც მე-14 მუხლსა და 1-ლი ოქმის 1-ლ მუხლთან დაკავშირებულ საჩივარს შეეხება, როცა მომჩივანს დისკრიმინაციის საფუძველზე, რასაც მე-14 მუხლი ფარავს, გარკვეულ აქტივზე ნაწილობრივ ან სრულად ეთქვა უარი, შესაბამისი ტესტია ის, ექნებოდა თუ არა მომჩივანს, დისკრიმინაციული საფუძვლის გარეშე, რაზეც იგი ჩიოდა, განსახილველ აქტივზე უფლება, რომელიც აღსრულებადი იქნებოდა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად (იხილეთ, *mutatis mutandis*, სტეკი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (განჩინება) [დიდი პალატა], №65731/01 და №65900/01, §55, ECHR 2005-X და ზემოხსენებული ანდრეევა, §79). წინამდებარე საქმეში ეს ტესტი დაკმაყოფილებულია.

53. მთავრობა ამტკიცებდა, რომ მომჩივანი 1970 წლის *inter vivos* საჩუქართან დაკავშირებით სამემკვიდრეო უფლებებს ვერ მოითხოვდა, რადგან დედამისის აქტივები განაწილდა მაშინვე და საბოლოო სახით, ამასთან, ეს მოხდა მანამ, სანამ დედის ფილიაცია იურიდიულად დადგინდებოდა (იხილეთ ზემოთ პარაგრაფი 39). თუმცა, სასამართლო ამ არგუმენტს ვერ გაიზიარებს. სასამართლოს აზრით, მიუხედავად იმისა, რომ *inter vivos* საჩუქარს მემკვიდრეობის უფლების გადაცემის მყისიერი ეფექტი აქვს, საკასაციო სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად,



მჩუქებლის გარდაცვალებამდე იგი ვერ მიიჩნევა გაყოფად მემკვიდრეობის მიზნებისთვის. მემკვიდრეობა არის გახსნილი და საბოლოოდ ლიკვიდირებული ან გაყოფილი წინაპრის გარდაცვალების დღეს (იხილეთ ზემოთ პარაგრაფი 24), რაც წინამდებარე საქმეში 1994 წლამდე არ მომხდარა. ამ დროისთვის მომჩივნის ფილიაცია დადგენილი იყო. ამდენად, მომჩივანს დედამისის ქონებაზე უარი ეთქვა იმ საფუძვლით, რომ მას „ადიულტერის შედეგად დაბადებული“ ბავშვის სტატუსი ჰქონდა.

54. ამასთან დაკავშირებით წინამდებარე საქმე ჰგავს ზემოხსენებულ საქმეებს *მაზურეკი* და *მერგერი და კროსი* და განსხვავდება ზემოხსენებული საქმისგან *ალბოიზ-ბარტი* და *ალბოიზ-მონტეზუმი საფრანგეთის წინააღმდეგ* (განჩინება), რომელშიც დადგინდა, რომ მომჩივანთა მამის ქონების ლიკვიდაციამ – რომელიც 1955 წელს მოხდა და, ამდენად, მათი ფილიაციის დადგენამდე დიდი ხნით ადრე – მათ ხელი შეუშალა გარდაცვლილი მამის ქონებაზე სამემკვიდრეო უფლებები განეცხადებინათ და „საკუთრებაზე“ უფლება დაემტკიცებინათ.

55. აქედან გამომდინარე, მომჩივნის მატერიალური ინტერესები 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლისა და მისით გარანტირებული საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლების გავრცელების სფეროში თავსდება. ეს საკმარისია, რომ კონვენციის მე-14 მუხლი გამოყენებადად ჩაითვალოს.

## 2. არსებითი მხარე

### (ა) ზოგადი პრინციპები

56. სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, რომ კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისას მე-14 მუხლი მსგავს სიტუაციებში მყოფი პირებისადმი, ობიექტური და გონივრული გამართლების გარეშე, განსხვავებულ მოპყრობას კრძალავს. მე-14 მუხლის მიზნებისთვის განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია, თუ მას „ობიექტური და გონივრული გამართლება არ გააჩნია“, ანუ, თუ იგი არ ისახავს „მართლზომიერ მიზანს“, ან თუ „გამოყენებულ საშუალებებსა და განსახორციელებელ მიზანს შორის პროპორციულობის გონივრული მიმართება“ არ არსებობს (იხილეთ ზემოხსენებული *მაზურეკი*, §§ 46 და 48). გარდა ამისა, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შეფასების გარკვეული თავისუფლება აქვთ იმის შეფასებისას, ამართლებს თუ არა და

რამდენად ამართლებს განსხვავებულ მოპყრობას განსხვავებები სხვა მხრივ ანალოგიურ სიტუაციებში (იხილეთ ზემოხსენებული *სტეკი და სხვები*, §§ 51 და 52, ECHR 2006-VI). შეფასების თავისუფლების ფარგლები სხვადასხვა იქნება გარემოებების, განსახილველი საგნისა და წინაისტორიის შესაბამისად, მაგრამ საბოლოოდ სასამართლომ უნდა განსაზღვროს, დაკმაყოფილებულია თუ არა კონვენციის მოთხოვნები. რადგან კონვენცია, პირველ რიგში, ადამიანის უფლებების დაცვის სისტემაა, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ხელშემკვრელ სახელმწიფოებში ცვალებადი პირობები და უპასუხოს, მაგალითად, ნებისმიერ შემდგარ კონსენსუსს მისაღწევ სტანდარტებთან დაკავშირებით (იხილეთ ზემოხსენებული *კონსტანტინ მარკინი*, §126).

57. ზემოხსენებული *მარქის* საქმიდან მოყოლებული სასამართლოს დადგენილი პრეცედენტული სამართლის თანახმად, „ქორწინების გარეშე დაბადებულ“ და „კანონიერ“ ბავშვებს შორის მემკვიდრეობის მიზნებისთვის დადგენილი განსხვავება წამოჭრის დამოუკიდებლად კონვენციის მე-8 მუხლის (იხილეთ *ჯონსტონი და სხვები ირლანდიის წინააღმდეგ*, 1986 წლის 18 დეკემბერი, სერია A №112), კონვენციის მე-14 და მე-8 მუხლების ერთად (იხილეთ *ვერმერი ბელგიის წინააღმდეგ*, 1991 წლის 29 ნოემბერი, სერია A №214-C და *ბრაუერი გერმანიის წინააღმდეგ*, №3545/04, 2009 წლის 28 მაისი) და 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის (იხილეთ *ინზე ავსტრიის წინააღმდეგ*, 1987 წლის 28 ოქტომბერი, სერია A №126; ზემოხსენებული *მაზურეკი*; და ზემოხსენებული *მერგერი და კროსი*) დარღვევის საკითხს. სასამართლომ ეს პრეცედენტული სამართალი ნებაყოფლობით გაყოფაზე გაავრცელა, დაადასტურა რა დისკრიმინაციის აკრძალვა, როცა საქმე ეხება ანდერძის საფუძველზე გაყოფას (იხილეთ *პლა და პუნკერნაუ ანდორას წინააღმდეგ*, №69498/01, ECHR 2004-VIII). შესაბამისად, ჯერ კიდევ 1979 წელს *მარქის* საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვების სამემკვიდრეო უფლებების დაბადების ნიშნით შეზღუდვა კონვენციასთან შეუთავსებელი იყო. ამ ფუნდამენტურ პრინციპს სასამართლო მუდმივად იმეორებდა, განსაზღვრავდა რა ბავშვის „ქორწინების გარეშე“ დაბადების ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვას ევროპული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სტანდარტად.

58. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ქორწინებაში და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისადმი თანაბარი მოპყრობის მნიშვნელობა ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში, დიდი ხანია, დავას არ იწვევს, რამაც, ამასთან, დღეს ამ საკითხთან დაკავშირებით ეროვნული საკანონმდებლო ხელისუფლებების ერთიანი მიდგომა – თანასწორობის პრინციპი, რომელიც თავად კანონიერი და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების იდეას აუქმებს – და ის სოციალური და სამართლებრივი სიტუაცია ჩამოაყალიბა, რომელიც ბავშვებს შორის თანასწორობის მიღწევის მიზანს საბოლოოდ უჭერს მხარს (იხილეთ ზემოთ პარაგრაფები 28, 34 და 35).

59. შესაბამისად, ძალიან სერიოზული მიზეზები უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ ქორწინების გარეშე დაბადების ნიშნით განსხვავება კონვენციასთან თავსებადად ჩაითვალოს (იხილეთ ზემოხსენებული *ინზე*, §41; *კამპი და ბურიმი ნიდერლანდების წინააღმდეგ*, №28369/95, §38, ECHR 2000-X; და ზემოხსენებული *ბრაუერი*, §40).

60. სასამართლოს, პრინციპში, არ ევალუა წმინდად პირადი ხასიათის დავების მოგვარება. ამის მიუხედავად, ევროპული ზედამხედველობის მასზე დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელებისას, სასამართლო ვერ იქნება პასიური, როცა ეროვნული სასამართლოს მიერ სამართლებრივი აქტის ინტერპრეტაცია – იქნება ეს ანდერძის საფუძვლეზე ქონების გაყოფა, კერძო კონტრაქტი, საჯარო დოკუმენტი, კანონის დებულება თუ ადმინისტრაციული პრაქტიკა – დაუსაბუთებელი, თვითნებური ან აშკარად შეუსაბამოა დისკრიმინაციის აკრძალვასთან, რაც მე-14 მუხლითაა დადგენილი და, უფრო ფართოდ, იმ პრინციპებთან, რომლებიც კონვენციას დაედო საფუძვლად (იხილეთ *ლარკოსი კვიპროსის წინააღმდეგ* [დიდი პალატა] №29515/95, §§ 30-31, ECHR 1999-I; ზემოხსენებული *პლა და პუნკერნაუ*, §59; და *კარამანი თურქეთის წინააღმდეგ*, №6489/03, §30, 2008 წლის 15 იანვარი).

**(ბ) პრინციპების წინამდებარე საქმეში გამოყენება**

*(i) ადგილი ჰქონდა თუ არა ქორწინების გარეშე დაბადების ნიშნით განსხვავებულ მოპყრობას*

61. წინამდებარე საქმეში უდავოა, რომ მომჩივანს მისი კუთვნილი წილი ჩამოერთვა და კანონიერ ბავშვებთან შედარებით,

საბოლოოდ, განსხვავებულ სიატუაციაში აღმოჩნდა დედის ქონების მემკვიდრეობასთან დაკავშირებით. მას, „ადიულტერის შედეგად დაბადებული“ ბავშვის სტატუსის ქონის გამო, *inter vivos* გაყოფის, საინადაც იგი გამორიცხეს, ანუღირებისა და კუთვნილი წილი მოპოვების საშუალება არ მიეცა.

62. ერთი მხრივ, მომჩივნისა და, მეორე მხრივ, მისი ნახევარძმისა და ნახევარდის მიმართ ასეთი განსხვავებული მოპყრობა გამომდინარეობს 2001 წლის კანონის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან, რომელიც კრძალავს „ადიულტერის შედეგად დაბადებული“ ბავშვების ახალი სამემკვიდრეო უფლებების გამოყენებას იმ სამკვიდრეობის მიმართ, რომლებიც 2001 წლის 4 დეკემბრამდე გახსნილი იყო და რომელთა გაყოფა ამ თარიღამდე არ მომხადარა (იხილეთ ზემოთ პარაგრაფი 30). განსახილველი გარდამავალი დებულების ინტერპრეტაციისას, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მემკვიდრეობის მიღების მიზნებისთვის ქონების გაყოფა 1994 წელს მოხდა, როცა მომჩივნის დედა გარდაიცვალა (იხილეთ ზემოთ პარაგრაფი 23), რაც შეესაბამება სასამართლო ორგანოს ხანგრძლივ პრეცედენტულ სამართალს იმაში, რომ *inter vivos* გაყოფასთან დაკავშირებით მჩუქებლის გარდაცვალება იწვევს სამკვიდროს გახსნას და გაყოფას (იხილეთ ზემოთ პარაგრაფი 24). სამოქალაქო კოდექსის 1077-1 და 1077-2 მუხლების შესაბამისად, კანონიერ ბავშვს, ვინც უგულებელყოფილი იყო *inter vivos* გაყოფისას ან ჯერ ჩასახული არ იყო შეთანხმების ხელმოწერის დროს, ქონებიდან მისი კუთვნილი წილის მიღებაში დაბრკოლება არ შეექმნებოდა (იხილეთ ზემოთ პარაგრაფი 25). ამგვარად, უდავოა, რომ მომჩივნის მიმართ განსხვავებული მოპყრობის ერთადერთი მიზეზი იყო ის ფაქტი, რომ იგი ქორწინების გარეშე დაიბადა.

63. სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, რომ მისი ფუნქცია არ არის იმის დადგენა, ეროვნული კანონმდებლობის თუ რომელი ინტერპრეტაციაა ყველაზე სწორი, არამედ – იმის განსაზღვრა, ამ კანონმდებლობის გამოყენების ფორმამ დაარღვია თუ არა უფლებები, რომლებიც მომჩივანს კონვენციის მე-14 მუხლით აქვს გარანტირებული (იხილეთ, მრავალ სხვა წყაროს შორის და *mutatis mutandis*, *პადოვანი იტალიის წინააღმდეგ*, 1993 წლის 26 თებერვალი, §24, სერია A №257-B, და ზემოხსენებული *პლა და პუნკერნაუ*, §46). ამდენად, წინამდებარე საქმეში სასამართლოს ამოცანაა, დაადგინოს, არსებობდა თუ არა განსახილველი

განსხვავებული მოპყრობის – რომელსაც ეროვნული კანონმდებლობის დებულებაში ჰქონდა საფუძველი – ობიექტური და გონივრული გამართლება.

(ii) განსხვავებული მოპყრობის გამართლება

(α) მართლზომიერი მიზნის დასახვა

64. მთავრობას კანონიერ ბავშვებსა და „ადიულტერის შედეგად დაბადებულ“ ბავშვებს შორის დისკრიმინაციის რაიმე სხვა გამართლება არ წარუდგენია. სასამართლო აღნიშნავს, რომ საფრანგეთის სახელმწიფო დათანხმდა, რომ ზემოხსენებული *მაზურეკის* საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ კანონმდებლობაში ცვლილებები შეეტანა და „ადიულტერის შედეგად დაბადებულ“ ბავშვებთან დაკავშირებული ყველა დისკრიმინაციული დებულების გაუქმებით სამემკვიდრეო სამართლის წესები გაეუმჯობესებინა ამ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუმეტეს ორი წლის განმავლობაში. გარდა ამისა, სასამართლო მიესალმება, რომ ამ ზომის გამოყენებით ფრანგული კანონმდებლობა კონვენციისეული დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპთან შესაბამისობაში მოდის.

65. თუმცა, მთავრობის თანახმად, მესამე მხარის მიერ – ამ შემთხვევაში, სხვა მემკვიდრეების მიერ – მოპოვებული უფლებების დარღვევა შეუძლებელი იყო და ეს ამართლებდა 2001 წლის კანონის უკუქმედების ძალის შეზღუდვას იმ სამკვიდროების მიმართ, რომლებიც ამ კანონის გამოქვეყნების დღეს უკვე გახსნილი იყო და ამ თარიღამდე მათი გაყოფა არ მომხდარა. შესაბამისად, გარდამავალი დებულებები მიღებული იქნა მშვიდობიანი ოჯახური ურთიერთობების უზრუნველსაყოფად ბენეფიციარების მიერ მოპოვებული უფლებების დაცვის გზით, იქ, სადაც ქონება უკვე გაყოფილი იყო.

66. სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ ოჯახის ერთი ან მეტი წევრისთვის სამემკვიდრეო უფლებებზე უარის თქმამ შეიძლება ხელი შეუწყოს ოჯახში მშვიდობიანი ურთიერთობების განმტკიცებას. თუმცა იგი აღიარებს, რომ მოპოვებული უფლებების დაცვა შეიძლება სამართლებრივი სარწმუნოების ინტერესებს, კონვენციის ძირითად ღირებულებას ემსახურებოდეს (იხილეთ *ბრუმარესკუ რუმინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], №28342/95, §61, ECHR 1999-VII; *ბეიანი რუმინეთის წინააღმდეგ (№1)*, №30658/05, §39, ECHR 2007-V (ამონარიდები); *ნეჟდეტ შაკინი და*

პერიკან შაჰინი თურქეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], №13279/05, §§ 56-57, 2011 წლის 20 ოქტომბერი; და ალბუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ, №34796/09 და 63 სხვა შემთხვევა, §34, 2012 წლის 10 მაისი). შესაბამისად, „ადიულტერის შედეგად დაბადებული“ ბავშვის მიერ მიღებულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, როცა იგი გახსნილი იყო 1993 წელს, ხოლო ლიკვიდირებული – 1996 წელს, მან დაადგინა, რომ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუშვებლობის შესახებ – იმის საფუძველზე, რომ გაყოფა უკვე მომხდარი იყო, რამაც მომჩივანს საშუალება არ მისცა, 2001 წლის კანონის გარდამავალი დებულებების შესაბამისად, ახალი უფლებებით ესარგებლა – შესაბამისობაში იყო სამართლებრივი სარწმუნოების პრინციპთან, როგორც ეს აღნიშნა საქმეში *მარქსი*. მართლაც, „სასამართლო ორგანოს არ მოეთხოვება, გააუქმოს ნებაყოფლობით მიღებული გაყოფა სასამართლოს იმ გადაწყვეტილების ფონზე, რომელიც აღნიშნული გაყოფის შემდეგ იქნა მიღებული“ (იხილეთ *ე.ს. საფრანგეთის წინააღმდეგ* (განჩინება), №49714/06, 2009 წლის 10 თებერვალი). სასამართლო ასკვნის, რომ დასრულებული სამემკვიდრეო შეთანხმებების სტაბილურობის უზრუნველყოფის ინტერესი, რაც საკანონმდებლო ხელისუფლებისა და სასამართლოს აზრით, რომელიც საქმეს იხილავდა, უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა იყო, მართლზომიერ მიზანს წარმოადგენს, რითაც წინამდებარე საქმეში განსხვავებული მოპყრობის გამართლება შეიძლება. თუმცა, განსხვავებული მოპყრობა ამ მიზნის პროპორციული უნდა ყოფილიყო.

(β) პროპორციულობა გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის

67. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმეში, ანულირების მოთხოვნით სარჩელის შეტანის კანონით დადგენილი უფლების გათვალისწინებით, მომჩივნის ნახევარძმამ და ნახევარძამ საკუთრების უფლებები მოიპოვეს 1970 წლის *inter vivos* გაყოფის საფუძველზე, რის გამოც მათ გადაეცათ ქ-ნი მ.-ს ქონება მისი გარდაცვალების შემდეგ, 1994 წლის ივლისში. აქედან გამომდინარე, წინამდებარე საქმე განსხვავდება ზემოხსენებული საქმეებისგან *მაზურეკი* და *მერგერი და კროსი*, სადაც ქონება ბენეფიციარებისთვის ჯერ არ იყო გადაცემული.

68. თუმცა სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, რომ „გარდაცვლილების და მათი ოჯახების ‘კანონიერი მოლოდინის’

დაცვა ქორწინებაში და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისადმი თანაბარი მოპყრობის იმპერატივს უნდა ექვემდებარებოდეს“ (იხილეთ ზემოხსენებული *ბრაუერი*, §43). ამასთან დაკავშირებით სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნის ნახევარძმამ და ნახევარდამ იცოდნენ – ან უნდა სცოდნოდათ – რომ მათი უფლებები შეიძლებოდა ექვემდებარებოდათ დამდგარიყო. 1994 წელს, მათი დედის გარდაცვალებისას, *inter vivos* გაყოფის ანულირების მოთხოვნით სარჩელის შეტანისთვის არსებობდა კანონით დადგენილი ხუთწლიანი პერიოდი. ამდენად, კანონიერ მემკვიდრეებს უნდა სცოდნოდათ, რომ მათ ნახევარძმას ქონებიდან თავისი წილი 1999 წლამდე უნდა მოეთხოვა და რომ ამგვარ ქმედებას შეეძლო კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინა არა გაყოფა, როგორც ასეთი, არამედ – თითოეული შთამომავლის უფლებების ფარგლები. გარდა ამისა, ანულირების მოთხოვნით სარჩელი, რომელიც მომჩივანმა, საბოლოოდ, 1998 წელს შეიტანა, ეროვნულ სასამართლოებში განიხილებოდა, როცა *მაზურეკის* საქმეზე გადაწყვეტილება გამოვიდა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სამემკვიდრეო უფლებების დაბადების ნიშნით უთანასწორობა კონვენციასთან შეუსაბამო იყო, და როცა გამოქვეყნდა 2001 წლის კანონი, რომელმაც ეს გადაწყვეტილება აღასრულა მასში დადგენილი პრინციპების ფრანგულ კანონმდებლობაში შეტანით. და ბოლოს, მომჩივანი არ იყო შთამომავალი, ვისი არსებობაც მათ არ იცოდნენ, რადგან იგი, 1983 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, მათი დედის „უკანონო“ შვილად იყო აღიარებული (იხილეთ ზემოთ პარაგრაფი 12; იხილეთ, *mutatis mutandis*, ზემოხსენებული *კამპი და ბურიმი*, §39). ეს საკმარისი იყო დასაბუთებული ეჭვების აღსამრავად იმასთან დაკავშირებით, გადაიცა თუ არა ქონება, ფაქტობრივად, ქ-ნი მ.-ს გარდაცვალების შემდეგ, 1994 წელს (იხილეთ ზემოთ გენერალური ადვოკატის დასკვნები, პარაგრაფი 22).

69. ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობის თანახმად, *inter vivos* გაყოფის განსაკუთრებული ხასიათი გამორიცხავდა არსებული სამართლებრივი სიტუაციის – ამ შემთხვევაში, 1970 წელს მომხდარი და შემდეგ, ქონების მეპატრონის გარდაცვალების შემდეგ საბოლოოდ განხორციელებული გაყოფის – რაიმენაირად კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებას, მიუხედავად სასამართლო პროცესის მიმდინარეობისა (იხილეთ ზემოთ პარაგრაფები 40 და 41). მომჩივანმა ეს მოსაზრება

ექვექვე დააყენა (იხილეთ ზემოთ პარაგრაფი 46). წინამდებარე საქმის კონკრეტულ გარემოებებში, სადაც ევროპის პრეცედენტული სამართალი და ეროვნული საკანონმდებლო რეფორმები ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების სამემკვიდრეო უფლებებთან დაკავშირებით ყველანაირი დისკრიმინაციის აღმოფხვრის ცხად ტენდენციას აჩვენებდნენ, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნის მიერ ეროვნულ სასამართლოებში 1998 წელს შეტანილი სარჩელი, რომელიც 2007 წელს უარყოფილი იქნა, მნიშვნელოვანი ფაქტორია განსხვავებული მოპყრობის პროპორციულობის განხილვისას (იხილეთ ზემოთ პარაგრაფები 22 და 68, ხოლო ქვემოთ – პარაგრაფი 72). იმ ფაქტს, რომ სარჩელი ჯერ კიდევ განიხილებოდა 2001 წელს, შეიძლება მხოლოდ ფარდობითი გაეხადა ქ-ნი მ.-ს სხვა მემკვიდრეების მოლოდინი, რომ ისინი მის ქონებაზე უდავო უფლებებს მოიპოვებდნენ.

70. შესაბამისად, ზემოთქმულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნის ნახევარძმისა და ნახევარდის სამემკვიდრეო უფლებების დაცვის მართლზომიერი მიზანი არ იყო საკმარისად მნიშვნელოვანი, რომ გადაეწონა მომჩივნის მიერ დედამისის ქონებიდან წილის მოთხოვნა.

71. გარდა ამისა, როგორც ჩანს, ეროვნული ხელისუფლების თვალშიც კი, იმ მემკვიდრეების მოლოდინები, ვინც *inter vivos* გაყოფის ბენეფიციარები არიან, ყველა გარემოებაში არ უნდა იყოს დაცული. მართლაც, იმავე დროს, *inter vivos* გაყოფის ანულირების მოთხოვნით ისეთივე სარჩელი რომ შეეტანა სხვა კანონიერ შვილს, ვინც მოგვიანებით დაიბადა ან განზრახ გამორიცხეს გაყოფისას, იგი დაუშვებლად არ გამოცხადდებოდა.

72. ამასთან დაკავშირებით სასამართლო კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებას 2007 წელს – ზემოხსენებული *მარქსის* და *მაზურეკის* საქმეებზე გადაწყვეტილებების მიღებიდან წლების შემდეგ – სამართლებრივი სარწმუნოების დაცვის პრინციპის განსხვავებულად გამოყენების შესახებ, იმის მიხედვით, იგი კანონიერ შვილს ეხებოდა, თუ – „ადიულტერის შედეგად დაბადებულს“. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლომ არ განიხილა მომჩივნის საჩივრის ძირითადი საფუძველი დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის, რომელიც კონვენციის მე-14 მუხლითაა გარანტირებული, დარღვევის შესახებ. სასამართლომ ადრე



დაადგინა, რომ როცა მომჩივნის საჩივარი კონვენციით გარანტირებულ „უფლებებსა და თავისუფლებებს“ შეეხება, სასამართლოებმა იგი განსაკუთრებული სიმკაცრითა და ყურადღებით უნდა განიხილონ და რომ ეს არის სუბსიდიარობის პრინციპის შედეგი (იხილეთ *ვაგნერი და ჯ.მ.ვ.ლ. ლუქსემბურგის წინააღმდეგ*, №76240/01, §96, 2007 წლის 28 ივნისი, და *მაგნინი საფრანგეთის წინააღმდეგ* (განჩინება), №26219/08, 2012 წლის 10 მაისი).

(γ) დასკვნა

73. ყველა ზემოთქმული გარემოების გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ გამოყენებულ საშუალებებსა და განსახორციელებელ მიზანს შორის პროპორციულობის გონივრული მიმართება არ იყო. ამდენად, არ არსებობდა მომჩივნის მიმართ განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი, 1-ლი ოქმის 1-ლ მუხლთან მიმართებაში.

74. ეს დასკვნა ექვეყვემ არ აყენებს სახელმწიფოების უფლებას, შემოიღონ გარდამავალი დებულებები, როცა საკანონმდებლო რეფორმას გაატარებენ მათი ვალდებულებების შესრულების მიზნით, კონვენციის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად (იხილეთ, მაგალითად, *ანტონი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, №18010/06, 2010 წლის 25 ნოემბერი; *Compagnie des gaz de pétrole Primagaz საფრანგეთის წინააღმდეგ*, №29613/08, §18, 2010 წლის 21 დეკემბერი; *მორკი გერმანიის წინააღმდეგ*, № 31047/04 და №43386/08, §§ 28-30 და 54, 2011 წლის 9 ივნისი; და *ტარონი გერმანიის წინააღმდეგ*, (განჩინება), №53126/07, 2012 წლის 29 მაისი).

75. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს არსებითად დეკლარაციული ხასიათის გადაწყვეტილებები სახელმწიფოს უტოვებს შესაძლებლობას, თავად აირჩიოს დარღვევის შედეგების აღმოფხვრის ზომები (იხილეთ ზემოხსენებული *მარქსი*, §58 და *Verein gegen Tierfabriken Schweiz (VgT) შვეიცარიის წინააღმდეგ* (№ 2) [დიდი პალატა], №32772/02, §61, ECHR 2009), ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი ზომების გატარება ნიშნავს, რომ განსახილველმა სახელმწიფომ სასამართლოს გადაწყვეტილებებში დადგენილის მსგავსი შემდგომი დარღვევები სათანადო გულმოდგინებით თავიდან უნდა აიცილოს (იხილეთ, მაგალითად,

სალა ნიდერლანდების წინააღმდეგ, *Salah v. the Netherlands* №8196/02, §77, ECHR 2006-IX (ამონარიდები). ეს ეროვნულ სასამართლოებს აკისრებს ვალდებულებას, მათი კონსტიტუციური წესრიგის შესაბამისად და სამართლებრივი სარწმუნოების პრინციპის გათვალისწინებით, უზრუნველყონ კონვენციის სტანდარტების სრულად შესრულება, როგორც ამას სასამართლო განმარტავს. თუმცა, წინამდებარე შემთხვევაში ეს არ გაკეთებულა.

...

### III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

#### 82. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

“თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.”

83. მომჩივანმა მოითხოვა 128,550.75 ევრო, რაც ქონების ის წილია, რომელსაც მას გადაუხდინენ, თუკი იმავე უფლებების მქონედ განიხილავდნენ, როგორც მის ნახევარძმასა და ნახევარდას ჰქონდათ, და მასზე დამატებული პროცენტი. მომჩივანმა ასევე მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება, რაც მან 30,000 ევროდ შეაფასა. და ბოლოს, ეროვნულ სასამართლოებსა და ამ სასამართლოში გაწეული ხარჯები მომჩივანმა 20,946 ევროდ შეაფასა.

84. მთავრობამ აღნიშნა, რომ დარღვევის დადგენა მომჩივნის მიერ გაცდილი მატერიალური ზიანის ადეკვატური კომპენსაცია იქნებოდა. მორალური ზიანისთვის მიკუთვნებული ნებისმიერი ფულადი კომპენსაცია მხოლოდ სიმბოლური შეიძლებოდა ყოფილიყო. რაც შეეხება სასამართლო ხარჯებს, მთავრობა მიიჩნევდა, რომ შესაბამისი იქნებოდა საერთო ჯამში 10,000 ევროს მიკუთვნება.

85. წინამდებარე საქმის გარემოებებში სასამართლო ადგენს, რომ 41-ე მუხლის გამოყენების საკითხი არ არის მომზადებული, რომ მასზე გადაწყვეტილება იქნას გამოტანილი. შესაბამისად, იგი ამ საკითხს მთლიანად გადადებს და დანიშნავს შემდგომ განხილვას, მხედველობაში იღებს რა მოპასუხე სახელმწიფოსა და მომჩივანს შორის შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობას

(სასამართლოს რეგლამენტის 75-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).  
სასამართლო მხარეებს ამ მიზნით სამ თვეს აძლევს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო  
ერთხმად

1. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი 1-ლი ოქმის 1-ლ მუხლთან მიმართებაში;
- ...
3. ადგენს, რომ კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენების საკითხი გადაწყვეტილების მისაღებად არ არის მომზადებული;

შესაბამისად,

- ა) გადადებს აღნიშნულ საკითხს მთლიანად;
- ბ) მოუწოდებს მთავრობას და მომჩივანს, რომ ამ გადაწყვეტილების გამოცხადების დღიდან სამი თვის ვადაში წარადგინონ ამ საკითხზე მათი წერილობითი მოსაზრებები და, განსაკუთრებით, სასამართლოს აცნობონ ნებისმიერი შეთანხმების შესახებ, რასაც მათ შეიძლება მიაღწიონ;
- გ) გადადებს შემდგომ განხილვას და დიდი პალატის თავმჯდომარეს გადასცემს უფლებამოსილებას, იგივე დაადგინოს საჭიროების შემთხვევაში.

გადაწყვეტილება შედგენილია ფრანგულ და ინგლისურ ენებზე და გამოცხადდა ღია სხდომაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შენობაში, სტრასბურგში, 2013 წლის 7 თებერვალს.

იოჰან კალევარტი  
სასამართლო გამწესრიგებლის მოადგილე

ჯოზეფ კასადევალი  
თავმჯდომარე

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, წინამდებარე გადაწყვეტილებას თან ერთვის შემდეგი ინდივიდუალური მოსაზრებები:

(ა) მოსამართლე პოპოვიჩის თანმხვედრი მოსაზრება, რომელსაც მოსამართლე გიულუმიანი შეუერთდა;

(ბ) მოსამართლე პინტო დე ალბუკერკეს თანმხვედრი მოსაზრება.

**© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: [publishing@echr.coe.int](mailto:publishing@echr.coe.int).

**© Council of Europe/European Court of Human Rights, 2013**

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact [publishing@echr.coe.int](mailto:publishing@echr.coe.int).

**© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2013**

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : [publishing@echr.coe.int](mailto:publishing@echr.coe.int).